სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორი

ბრძანება

21 04 2020 წ. №76 ქ. თბილისი

„სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2020 წელს დაფინანსების მიზნით კონკურსის (№2/1) გამოცხადების თაობაზე" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 10.01.2020 წლის №7 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების აღკვეთის მიზნით გასატარებელი ღონისძიებების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის №181 დადგენილების მე-13 მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და სსიპ – საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დებულების მე-4 მუხლის მე-7 პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად ვბრძანებ:

1.საქართველოში კორონავირუსის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო, შეიცვალოს სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2020 წელს დაფინანსების კონკურსის პირობებში დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი, კერძოდ ცვლილება შევიდეს სრულმრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2020 წელს დაფინანსების მიზნით კონკურსის (№2/1) გამოცხადების თაობაზე" სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 10.01.2020 წლის №7 ბრძანებით დამტკიცებულ „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2020 წელს დაფინანსების კონკურსის პირობებში:

ა) ქვესათაურში „დოკუმენტაციის წარმოდგენის წესი" ნაცვლად ფორმულირებისა:
„საკონკურსო აპლიკაცია და დოკუმენტაცია უნდა გამოიგზავნოს ელექტრონული პროგრამის „სინემატოგრაფი მენეჯმენტ სისტემის" (Cinematography Management System -CMS) საშუალებით. იხილეთ ვიდეო გზამკვლევი https://www.youtube.com/watch?v=Z33mYHxMudQ
გარდა ონლაინ აპლიკაციისა კინოცენტრში წარმოდგენილი უნდა იყოს საკონკურსო დოკუმენტაციის ერთი ბეჭდური ვერსია"
განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება: „საკონკურსო აპლიკაცია და დოკუმენტაცია უნდა გამოიგზავნოს ელექტრონული პროგრამის „სინემატოგრაფი მენეჯმენტ სისტემის" (Cinematography Management System -CMS) საშუალებით. იხილეთ ვიდეო გზამკვლევი https://www.youtube.com/watch?v=Z33mYHxMudQ"

ბ)ქვესათაურში „ვადები” ნაცვლად ფორმულირებისა „საკონკურსო დოკუმენტაცია (პროექტები) მიიღება ელექტრონული სააპლიკაციო პროგრამის საშუალებით 2020 წლის 23 აპრილის 17:00 სთ-მდე; პროექტის ერთი ეგზემპლარი ბეჭდური სახით ასევე წარმოდგენილი უნდა იყოს ეროვნულ კინოცენტრში 2020 წლის 23 აპრილის 17:00 სთ-მდე;” განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება: „საკონკურსო დოკუმენტაცია (პროექტები) მიიღება ელექტრონული სააპლიკაციო პროგრამის საშუალებით 2020 წლის 23 აპრილის 17:00 სთ-მდე;”

გ)ქვესათაურში „სავალდებულო დოკუმენტაცია” მე-19 ქვეპუნქტი ნაცვლად ფორმულირებისა „19.კოპროდიუსერებს შორის დადებული კოპროდუქციის კონტრაქტი (ორიგინალები ან ასლები ნოტარიულად დამტკიცებული) ეს კონტრაქტი უნდა შეიცავდეს:” განისაზღვროს შემდეგი ფორმულირება: „19.კოპროდიუსერებს შორის დადებული კოპროდუქციის კონტრაქტი. ეს კონტრაქტი უნდა შეიცავდეს:”

2. „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2020 წელს დაფინანსების მიზნით კონკურსის (№2/1) გამოცხადების თაობაზე” სსიპ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის დირექტორის 10.01.2020 წლის №7 ბრძანებით დამტკიცებულ „სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების 2020 წელს დაფინანსების კონკურსის პირობებში” შეტანილი ცვლილებები განთავსდეს კინოცენტრის ვებ-გვერდზე.

3. ბრძანება ძალაში შევიდეს ვებ - გვერდზე გამოქვეყნებისთანავე.

4.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

დირექტორი გაგა ჩხეიძე